ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-1249

"1" ივნისი 2017წ.

„ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 22 იანვრის №180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 63-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 6 აპრილის №14 და 2017 წლის 11 მაისის №19 სხდომის ოქმების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 22 იანვრის №180 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქუჩა №63-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.16.01.008.005) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინაშვილის ქუჩა №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.01.008.005), მრავალფუნქციური (კომერციული, საცხოვრებელი) შენობის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,9.“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE32TB7002533030100166.) 84 122.18 (ოთხმოცდაოთხი ათას ასოცდაორი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი.“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისთვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 29 ივნისის №2761 განკარგულება.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძე

23.08.2017წ

შპს„სასკო"-ს (ს/კ205045636)

დირექტორის გიორგი სიჭინავას

მის: ვაჟა-ფშაველას 16. ოფისი 222

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ჩუღურეთის რ-ნში, ჩუბინაშვილის ქუჩა N63-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.16.01.008.005), მრავალფუნქციური (კომერციული, საცხოვრებელი) შენობის განსათავსებლად, განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,9.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით მოსაკრებელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 01 ივნისის, N1-1249 ბრძანებით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს. თიბისი ბანკი" TBCBGE22. ანგარიში: GE32TB7002533030100166.) 84 122.18 (ოთხმოცდაოთხი ათას ასოცდაორი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი.

სპეციალური (ზონალური) პარამეტრის გაზრდის ანგარიშზე უკვე დღეის მდგომარეობით გადახდილია 1000 (ათასი) ლარი. დანართათ გიგზავნით გადახდის ქვითრის ქსერო ასლს.

გთხოვთ დარჩენილი 83 122,18 (ოთხმოცდასამი ათას ასოცდაორი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი გადაგვინაწილოთ ერთ წელიწადზე.

სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო
6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6926,8	6927,4

შ.პ.ს. „სასკო"

დირექტორი: /გ. სიჭინავა/

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 16, ოფისი 222
222 office, 16 vazha Pshavela ave., Tbilisi, 0160, Georgia
Tel./Fax: (+995 32) 37 51 90, Tel.: (+995 32) 38 53 32, *1020
E-mail: info@sascogroup.ge
Web: www.sascogroup.ge